ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2015 წ
ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს ი ს ტ ე მ ა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა



სამინისტროს 2015 წლის ბ ი უ ჯ ე ტ ი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2 სექტემბრის N144 უ.ს.შ.ს კანონის ცვლილების თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 811 641 ლარით



სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების/ქვეპროგრამების 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 6 811 641 ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 735 839 ლარი, გეგმის 99%

სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2015** წლის ბიუჯეტის შესრულება

დასახელება	**2015** წლის გეგმა დამტკიცებული	**2015** წლის გეგმა დაზუსტებული	საკასო ხარჯი	შესრულების %
07- სოფლის მეურნეობის სამინისტრო	6 811 641	6 811 641	6735839	99
07 01 – სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	1 688 800	1 688 800	1 665 766	99
07 02 –მექანიზაციის საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	1 522 964	1 522 964	1 522 964	100
07 03 – მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა	883 998	883 998	858266	97
07 04 – მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა	751 915	751 915	749403	100
07 06 - აგროსერვისის განვითარება რეგიონში	1 624 264	1 624 264	1601254	99
07 07 - ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	339 700	339 700	338186	100

სამინისტროს 2015 წლის პროგრამები

	პ რ ო გ რ ა მ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	პროგრამების ბიუჯეტი, ლარი
1	მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**1 428 719**
2	მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**94 245**
3	მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**196 580**
4	სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**478 950**
5	ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა	**101 630**
6	ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**84 498**
7	რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**119 900**
8	თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**59 950**
9	მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**70 000**
10	მაღალპროდუქტიული მერძეული მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	**499 913**

ქვეპროგრამა: ,,მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა"
ბიუჯეტი – 1 428 719 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ სულ 411 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი. მათ შორის:

1. 340 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებით;
2. 32 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელათი;
3. 39 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 7 ცხძ, ძალამრთმევი ლილვით) ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და კარტოფილის სარგავით;
4. 77 ერთეული მოტობლოკზე მისაბმელი ურიკა, ტვირთამწეობით 0,5 ტონა.

ქვეპროგრამა: ,,მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა"
ბიუჯეტი – 94 245 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 61 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატი;

ქვეპროგრამა: ,,მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა "
ბიუჯეტი – 196 580 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ მრავალწლიანი ხეხილოვანი ნერგები. კერძოდ:

1. 32 000 ძირი თხილის ნერგი;
2. 10 100 ძირი კაკლის ნერგი;
3. 10 500 ძირი ლურჯი მოცვის ნერგი.

ქვეპროგრამა: ,,სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა "
ბიუჯეტი – 478 950 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 250 ერთეული მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი, პოლიეთილენის ფირი).



ქვეპროგრამა: ,,ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა"

ბიუჯეტი – 101 630 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 20 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 4 ერთეული სათბური და შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებები. კერძოდ:

1. 200 კვ.მ–იანი სათბურის კონსტრუქცია, პოლიეთილენის ფირი, მულჩფირი, 2 ტონიანი წყლის რეზერვუარი, წვეთოვანი სარწყავი მილები, წყლის საქაჩი ტუმბო;
2. ორგანული სასუქი – ბიოჰუმუსი;
3. მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილები;
4. სამაცივრე კამერა.

ქვეპროგრამა: ,,ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა"

ბიუჯეტი – 84 498 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 125 ერთეული ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარები.

ქვეპროგრამა: ,,რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა”
ბიუჯეტი – 119 900 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ

1. 500 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორი;
2. 50 ერთეული კარაქის დამამზადებელი აპარატი.

ქვეპროგრამა: ,,თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა “
ბიუჯეტი – 59 950 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ

100 ერთეული თაფლის საწური;

ქვეპროგრამა: ,,მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა "
ბიუჯეტი – 70 000 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 70 ერთეული მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი დანადგარი;

ქვეპროგრამა: ,,მაღალპროდუქტიული მერძეული მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა"
ბიუჯეტი – 499 913 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 20 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 75 სული ჯერსის ჯიშის მერძეული მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პრუტყვი;

სასაოფლო–სამეურნეო ბარათები

სასაოფლო სამეურნეო ბარათით ისარგებლა 62 796 ბენეფიციარმა, სულ გაცემული იქნა 53896 აგრო-ბარათი (3 430 273 ლარი).

რეგიონში მოხნული იქნა 1110-ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. კერძოდ, შპს ,,მექანიზატორის “მიერ - 963 ჰა, ხოლო ქვეკონტრაქტორების მიერ147ჰა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები

- მარცვლეული - 5871 ტონა, პროგნოზის 100,2%;
- აქედან: სიმინდი -5522ტ, პროგნოზის 100%;
- კარტოფილი - 28369ტონა, პროგნოზის 64,7%;
- ბოსტნეული -16591ტონა, პროგნოზის 96,6%;
- აქედან: კიტრი -4300ტ, 96,8%, პომიდორი 4931ტ – 96,1% და სხვა ბოსტნეული 2375ტ – 94,4%;
- ხილი -14 844 ტონა, პროგნოზის 91,2%, აქედან: თესლოვანი 4791ტ – 85,5%, კურკოვანი 2829ტ - 84%;
- ყურძენი -1846 ტონა, პროგნოზის 100,3%;
- ჩაის ფოთოლი- 868 ტონა, პროგნოზის 100%;
- დაფნა -14 ტონა, პროგნოზის 100%;
- ხორცი - 547 ტონა, პროგნოზის 98,9%;
- რძე - 31846 ტონა, პროგნოზის 105,6%;
- კვერცხი - 3,4 მილ.ცალი, პროგნოზის 88,6%;
- თაფლი - 203 ტონა, პროგნოზის 88,6%;
- კალმახი - 261 ტონა, პროგნოზის 100%.

2015–2016 წლების ციტრუსის სეზონი

- 2015 წლის საპროგნოზო მონაცემებით რეგიონში ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი შეადგენდა 104 852 ტონას, აქედან სტანდარტულ ნაყოფი - 79 755ტ, ხოლო არასტანდარტულ ნაყოფი - 25 097ტ. საპროგნოზო მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით: ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 55 508 ტ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 36 560 ტ, ბათუმის შემოერთებული ტერიტორიული ერთეულები - 12 784ტ;

- მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონის შეუფერხებლად და წარმატებით ჩატარების მიზნით სამინისტროში შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფას;

- სამინისტროში ჯგუფის მიერ სეზონის დაწყებამდე შესწავლილი იქნა რეგიონში ციტრუსის დამხარისხებელ საწარმოებში არსებულ მდგომარეობა, განსაზღვრა არასტანდარტული ციტრუსის გადამუშავების შესაძლებლობები (შპს „GIAM GROUP", შპს „TCF GEORGIA" და შპს „კტმ ქედის საკონსერვო ქარხანა") კერძოდ 20 000 ტონა-მდე;

- ციტრუსის საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები ციტრუსის ექსპორტიორებთან, ქ. ბათუმის საზღვაო პორტისა და რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელ პირებთან.

ციტრუსის ექსპორტზე რეალიზაცია

✓ საანგარიშო პერიოდში ექსპორტზე სულ რეალიზებული იქნა **25 183,74** ტონა ციტრუსი. კერძოდ: უკრაინაში – 3731 ტ; ბელორუსიაში - 242 ტ, ყაზახეთში – 447 ტ, რუსეთში - 19 684 ტ, სომხეთში – 773 ტ, აზერბაიჯანში - 232 ტ, სხვა დანარჩენში - 74 ტ.



ციტრუსის საკონსერვო გადამუშავება

✓ მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებას სეზონზე უზრუნველყოფდა შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის“ ქობულეთის საკონსერვო ქარხანა, შპს „კტმ-ქედის საკონსერვო” ქარხანა და შპს „TCF GEORGIA”. საანგარიშო პერიოდში სულ გადამუშავებულია 7515 ტ არასტანდარტული ციტრუსის ნაყოფი;

✓საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №2372 განკარგულების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო, საკონსერვო კომპანიებზე, (2016 წლის 1 თებერვლამდე) ფიზიკური პირებისაგან ყოველი 1 კგ არასტანდარტული მანდარინის არანაკლებ 0,20 ლარად შესყიდვის შემთხვევაში გასცემს სუბსიდიას 0,10 ლარის ოდენობით;

✓საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №2392 განკარგულების „შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” კრედიტით ისარგებლა ექვსმა ადგილობრივმა კომპანიამ. სულ გაცემულია კრედიტი - 326 000 აშშ დოლარისა და 2 555 000 ლარის ოდენობით.

თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან

აგრარულ სექტორში დასახული პრიორიტეტების წარმატებით განხორციელების მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, კერძოდ:

	დონორი	ქვეყანა	პროექტის დასახელება	მიმდინარე მდგომარეობა	თანხა
1.	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის არ“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	166 910 აშშ დოლარი
2.	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„სტაციონალური სასაკლაოს მოწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში “	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	91 200 აშშ დოლარი
3.	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„ ხილისა და ბოსტნეულის 200 ტონიანი (მრავალ საკნიანი) სამაცივრე მეურნეობის მოწყობა ა(ა)იპ აგროსერვისის ბაზაზე“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	100 000 აშშ დოლარი
4.	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„ ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო ხელსაწყოებითა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება“	გაიგზავნა სია საჭირო ხელსაწყოების შესახებ	
5.	ლიტვის ეროვნული სურსათისა და ვეტერინარული რისკების შეფასების ინსტიტუტი	ლიტვა	„ლაბორატორიული კვლევის უნარების გაუმჯობჯობესება აჭარის არ“	პროექტი დამტკიცებული და შესრულებულია.	14 000 ევრო
6.	LEADER და ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო	ლიტვა	„აჭარაში მცირე საოჯახო მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდა, მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობით“	პროექტი არ დამტკიცდა	14. 800 ევრო
7.	ლიტვის აგრარული და სურსათის ბაზრის რეგულირების სააგენტო	ლიტვა	„აჭარის არ რეგიონალური განვითარება, ადგილობრივი აგრარული და სასურსათო კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობით“	პროექტს არ დამტკიცდა	17. 377 ევრო
8.	პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პოლონეთის საელჩო საქართველოში	პოლონეთი	„მცირე ფერმერული საოჯახო მეურნეობის მხარდაჭერა აჭარის არ“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	11 000 ევრო

9	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„რძის გადამუშავება და რძის პროდუქტების წარმოება“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	100 000 ლარი
10	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„ხილისა და ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი ხაზით რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ხელშეწყობა“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	127 000 ლარი
11	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„კარტოფილის ჩიფსის წარმოება“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	45 000 ლარი
12	TIKA (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო)	თურქეთი	„ მეცხოველეობის განვითარება აჭარის არ“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	62 000 ევრო
13.	ლატვიის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციათა თანამშრომლობის საბჭო, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო	ლატვია	„ აჭარის არ მეცხოველეობაში-მერძეული მიმართულების სტანდარტებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლება“	პროექტი არ დამტკიცდა	25 000 ევრო
14	იაპონიის საელჩო საქართველოში	იაპონია	„ხულოს მუნიციპალიტეტში აგრო-ბიზნეს ინკუბატორის შექმნა“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	97 000 აშშ დოლარი
15.	რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, (ODA)	რუმინეთი	„დიოქსინის კვლევა და მისი იდენტიფიცირება გარემოსა და საკვებ პროდუქტებში“	მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის განხილვა	439 223 ევრო

მიმდინარე პროექტები

1. **EU / UNDP - Enpard Ajara** „აჭარაში აგრო სექტორის განვითარების მხარდაჭერა“ – ბიუჯეტი (3 მილიონი ევრო) ითვალისწინებს 2013-2016 წწ. ა(ა) იპ აგროსერვის ცენტრის, ფერმერული მეურნეობებისა და სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას.
2. „აჭარის არ ციტრუსის მოსავლიანობის პროგნოზირების საპილოტე პროგრამა“ - რომელიც არის საქართველოს სასოფლო- სამეურნეო პოლიტიკის ინიციატივის (GAPI) 3 წლიანი პროექტის ნაწილი, დაფინანსებული USAID -ის მიერ, განმახორციელებელი აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA).
3.საქართველოში აშშ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ისრაელის საელჩოები - აგრო საკვალიფიკაციო ტრენინგები დარგის სპეციალისტებისთვის.
4. ნიდერლანდების საელჩო საქართველოში - პროგრამები: **PUM** (ექსპერტის უფასო კონსულტაცია) და **Matchmaking** (ქართული და ჰოლანდიური კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება).
5. გერმანიის საელჩო საქართველოში, პროგრამა **SES** - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში.
6. **შვეიცარიის განვითარების ფონდი, Mercy Corps Georgia** „ მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა - „მეცხოველეობის განვითარება აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 2014-2019 წწ“. ბიუჯეტი ჯამში -10 მილიონი შვეიცარული ფრანკი.

7. მიმდინარეობს აქტიური მიმოწერა ავსტრიის, ჰოლანდიის, ლატვის, ესტონეთის, ხორვატიისა და პოლონეთის აგრო სექტორის წარმომადგენლებთან, სამომავლო თანამშრომლობაზე.

კორესპონდენციის მიმოქცევა

- სამინისტროში შემოსული შემოსული წერილები -1749;
- შიდა - 744;
- გასული - 469;
- საზღვარგარეთის ბრძანება - 46;
- მივლინება/ შვებულების - 411;
- ძირითადი - 159;
- პირადი შემადგენლობის - 63;
- ხელშეკრულება - 7.

სამინისტროს მიერ გაწეული საინფორმაციო საქმიანობა

	N	დასახელება	რაოდენობა
ტელევიზიებისთვის მიცემული ინტერვიუები	1.	ადგილობრივი ტელევიზიები ,,აჭარის-ტელევიზია" ,,ტელეკომპანია- TV-25"	157
	2.	ცენტრალური ტელევიზიები ,,ტელეკომპანია-იმედი" ,,ტელეკომპანია-რუსთავი-2" ,,ტელეკომპანია მაესტრო" საზოდაგოებრივი მაუწყებლობა ,,პირველი არხი"	39
ტელე -რადიო საავტორო პროგრამებში მონაწილეობა	3.	აჭარის ტელევიზიის საავტორო პროგრამა ,,მე ვარ ფერმერი" აჭარის ტელევიზიის საავტორი პროგრამა ,,აგრო- რჩევები" ტელეკომაპნია TV-25 საავტორო პროგრამა ,,დიალოგი" აჭარის რადიოს საავტორო პროგრამა ,,კომპეტენტური პირი" აჭარის რადიოს საავტორო პროგრამა ,,ინდიკატორი"	54
ბეჭდური მედია	4.	,,გაზეთი-აჭარა" ,,გაზეთი-ბათუმელები" ,,აგრარული-საქართველო"	61
ელექრონული მედია	5	სააგენტოებზე გასული ინფორმაცია	36
სულ:	6.		347

აგროსერვის ცენტრის ძირითადი მიმართულებები :

ფერმერთა სწავლება–კონსულტირება

ხილის შრობა–დამუშავება

ნიადაგის აგროქიმიური კვლევა

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სტრუქტურა



2015 წლის ბ ი უ ჯ ე ტ ი

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა წარმოებდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებები შეადგეს 1624264 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1601253 ლარი (99%), რაც გეგმასთან შედარებით 23011 ლარით ნაკლებია.

2015 წლის **I-II-III-IV** კვარტალში ხარჯვა ცალკეული ღონისძიებების მიხედვით არის შემდეგნაირი: „შრომის ანაზღაურება" გეგმით შეადგენდა 650364 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 650360 ლარი, „საქონელი და მომსახურეობა" გეგმით შეადგენდა 227958 ლარს, ფაქტურად გახარჯულია 225918 ლარი, მათ შორის: სამივლინებო ხარჯები გეგმით შეადგენდა 8850 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 8805 ლარი; ოფისის ხარჯები გეგმით შეადგენდა 88163 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 88162.4 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯები გეგმით შეადგენდა 3500 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 3439 ლარი; „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები" გეგმით შეადგენდა 3200 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 3200 ლარი; „ტრასპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯები" გეგმით შეადგენდა 55085 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 53249.3 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა გეგმით შეადგენდა 69160 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 69062 ლარი; სხვა ხარჯები გეგმით შეადგენდა 8 778 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 8778 ლარი; სოც. უზრუნველყოფის ხარჯები გეგმით შეადგენდა 3900 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია - 3898.4 ლარი. არაფინანსური აქტივები გეგმით გათვალისწინებული იყო 727810 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია - 706846 ლარი; ,,ვალდებულებები" მუხლში გათვალისწინებული იყო 5 454 ლარი, გახარჯულია 5 452,8 ლარი.

ჩაქვის ციტრუსის სანერგე
მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

სანერგე მეურნეობის ნაკვეთებში 9500 ძირ მცენარეებს განოყიერებისათვის შეტანილი იქნა 31 ტონა ორგანული სასუქი ბიოჰუმუსი, მინერალური სასუქი NPK-1.9 ტონა, აზოტიანი სასუქი -1.45 ტონა. დეფეკატიური ტალახი შეტანილია 43 ტონა. ციტრუსოვანთა 2 650 ძირი ნამყენი გადაიჭრა მყნობის ადგილამდე. ციტრუსების 3600 ძირ მცენარეებს ჩაუტარდა გასხვლა-ფორმირება. დამუშავდა ტრიფოლიატის დასათესად ტერიტორია და დაითესა 3.5 ტრიფოლიატის თესლი. 4-ჯერ იქნა ჩატარებული განაშენიანებულ ადგილებში სარეველების და ბალახების გაცელვის სამუშაოები ბენზოცელელით და მოტობლოკით. გაიცელა ქარსაფარი ზოლები და მიმდებარე ადგილები. ნამყენი ციტრუსების 2800 ძირი ნერგები ხელით გაიმარგვლა 4 ჯერ და შეეცალა საძირეზე ნაზარდები 4-ჯერ. ციტრუსოვანთა ნერგების საწარმოებლად მომზადებული სუბსტრატის ნაზავი ჩაიყარა 12300 ცალ პოლიეთილენის პარკში და ჩაირგა 12300 ძირი ტრიფოლიატას საძირეები. ხელით გაიმარგვლა 10 000 ძირი ტრიფოლიატას საძირეები. ციტრუსოვანთა 3000 ძირ ახალ გამოყვანილ ნერგეს გაუკეთდა ჯიშის აღმვნიშნელი ეტიკეტები. მომზადებული ტრიფოლიატის საძირეებიდან დაიმყნო მანდარინი ტიახარა უნშიუ 8 100 ძირი. შეიწამლა ციტრუსოვნები მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ პესტივიდებით კომპლექსურად (5-ჯერ). სანერგეს ლიმონის მცენარეების კვარტალში სოკოვანი დაავადება მალსეკოს დაფიქსირების შემდეგ დაავადებული 173 მცენარიდან ამოიძირკვა 71 ძირი, გაისხვლა 102 ძირი და ჩატარდა შესაბამისი დეზინფექციისა და შეწამვლის სამუშაოები. დასრულდა სანერგეს ოფისის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.10000 ძირი ციტრუსოვანები ახვეულია ბამბუკის ჭიგოებზე მათ შორის 545 ძირი ლიმონის მცენარეები შეფუთულია შესაფუთი ქსოვილით. 9000 ცალი ციტრუსოვანთა ნამყენი ნერგები პოლიეთილენის პარკებით შეტანილი და დაწყობილია სათბურებში გამოსაზამთრებლად.

ქობულეთში ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა

სანერგე მეურნეობის ნაყვეთებში მცენარეების გასნოყიერებლად შეტანილი იქნა ორგანული სასუქი ბიოჰუმუსი -16,9 ტონა. მინერალური სასუქი NPK-1.6 ტონა, აზოტოვანი სასუქი 0,55 ტონა. დეფეკატიური ტალახი 7,5 ტონა შეტანილია ხურმისა და კენკროვანთა ნაკვეთში მჟავიანობის დონის დასარეგურილებლად. გასხვლული იქნა ვაზის ნარგაობა, აიჭრა საძირე და სანამყენე კალმები. შეცვლილია 2000 ცალი ბამბუკის ჭიგო და 4000 ძირი მცენარე მიმაგრებულია ბამბუკის ჭიგოზე და შპალერზე. დაიხვნა და დაიფრეზა ვაზის, ხეხილის და საძირეების 10 ჰა მიწის ფართობი. თავისუფალ ნაკვეთებში დაირგა 110 ძირი თუთა, ვაზის 215 ძირი აჭარული ჯიშები და შპალერის მოსაწყობად ამოღებულ ორმოებში გამაგრდა 60 ცალი კანგაცლილი ეკლის ხის ბოძები. კენკროვანთა ნაკვეთში დაირგა ბელორუსიის რესპუბლიკიდან შემოტანილი 3503 ძირი 8 სახეობის კენკროვანთა ნერგები(მარწყვი, მოცვი, ხურტკმელი, მოცხარი. ჟოლო, მაყვალი, ქაცვი და შტოში), თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის ნერგების საწარმოებლად დაირგა 2000 ძირი საძირეები და დაიმყნო 1200 ძირი. დამყნილი ვაზის კალმებიდან გახარებულია 638 ნამყენი.

2014 წლის პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სარგებლობაში გადმოცემულ 5 ჰა ნაკვეთზე ჩატარდა ბუჩქნარისაგან გაწმენდის, პლანტაჟის, მოსწორების, ანარჩენების გატანის, გადახვნის, 15-20 სმ. სიღრმეზე მულჩერირით დამუშავების, მავთულბადით შემოღობვის, სპეცტექნიკით სადრენაჟო არხების გაჭრის სამუშაოები. მომზადდა ნაკვეთი ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად.

ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში 1200-მ2 ფართობზე მოეწყო ანგარი, რომლისთვისაც 2014 წელს 229 000 ლარი დაიხარჯა (ანგარის მოწყობა კი 2015 წელს დასრულდა). ანგარში განთავსდა სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარი - ხილისა და ციტრუსის დამკალიბრებელი დანადგარი, მუყაოს ყუთების ამწყობი მანქანა და ხილის შემნახველი სამაცივრე საკნები.

აგროსერვის ცენტრში წარმოებული პროდუქცია

საანგარიში პერიოდში ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობასში, ასევე ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობასა და განთავსებულ სათბურებში წარმოებული და რეალიზებულია:

- პომიდორი - 5627,33 კგ, ღირებულებით 17782,67 ლარი;
- სალათის ფურცელი - 78 კგ, ღირებულებით 231 ლარი;
- ყურძენი - 159,30 კგ, ღირებულებით 548,25 ლარი;
- მარწყვი - 1284.78 კგ, ღირებულებით 9526,8 ლარი;
- ვაშლი -220 კგ, ღირებულებით 313, 4 ლარი;
- ტკბილი წიწაკა - 101 კგ, ღირებულებით 185,6 ლარი;
- მანდარინი - 5871 კგ, ღირებულებით 5584.5 ლარი.

საერთო ჯამში, შემოსული თანხების ოდენობამ შეადგინა 34 172.22 ლარი. რაც შეეხება 2015 წლის პერიოდში რეალიზებული ნერგების რაოდენობას, მაჩვენებლები შემდეგია: მანდარინი - 1495 ძირი; (3701.5 ლარი), ფორთოხალი - 250 ძირი; (625 ლარი), ლიმონი - 602 ძირი (1791 ლარი), ცოლიკოური პოლიეთილენის პარკში - 409 ძირი (899.8 ლარი), ჩხავერი პოლიეთილენის პარკში - 109 ძირი (239.8 ლარი), ოჯალეში პოლიეთილენის პარკში - 12 ძირი (26,4 ლარი), ალექსანდროული პოლიეთილენის პარკში - 5 ძირი (11,5 ლარი), პრიმა პოლიეთილენის პარკში - 11 ძირი (22 ლარი), კარდინალი პოლიეთილენის პარკში - 10 ძირი; (21 ლარი). სულ ჯამში რეალიზებულია 2903 ნერგი და შემოსულია 7 338 ლარი.

მსხ. რქ. პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება

საანგარიშო პერიოდში ექსსტენციის სამსახურის მთესლავ - ტექნიკოსებმა ფერმერთა მოთხოვნის საფუძველზე განახორციელეს 1879-ადგილზე გასვლა, აქედან ხელოვნური განაყოფიერება ჩატარდა **1904** შემთხვევაში **1687** ფურზე. ფერმერთა მიერ მომსახურებაში გადახდილმა თანხამ შეადგინა **31 500** ლარი. ხოლო სატელეფონო, ადგილზე გასვლით და ოფისში მომართვით სხვადასხვა სახის კონსულტაცია გაეწია **5859** ფერმერს.

2014 – 2015 წლის რაოდენობრივი თანაფარდობა მუნიციპლიტეტების მიხედვით

2015 წელი			**2014 წელი**		
მუნიციპალიტეტი	რაოდენობა	ფური	მუნიციპალიტეტი	რაოდენობა	ფური
ბათუმი	682	562	ბათუმი	737	673
ქობულეთი	564	524	ქობულეთი	586	538
ქედა	118	115	ქედა	249	143
შუახევი	112	94	შუახევი	102	93
დაბახულო	139	122	დაბახულო	117	109
სხალთა-ხიხაძირი	132	128	სხალთა- ხიხაძირი	85	81
დიდაჭარა -ღორჯომი	**157**	142	დიდაჭარა - ღორჯომი	**75**	75
სულ:	**1904**	**1687**	**სულ:**	**1951**	1712

ნიადაგის აგროქიმიური კვლევა

ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის სამუშაოები - რეგიონის ფერმერთა ნაკვეთებზე, ექსტენციის სამსახურის კონსულტანტებმა ნიადაგის საკითხებში სულ ჩაატარეს 198 ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევა, რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციის სახით გადაეცა ფერმერებს. მომასახურებაზე ფერმერთა მიერ გადახდილმა თანხამ შეადგინა 5940 ლარი. ხოლო ნიადაგის აგროქიმიურ ღონისძიებებზე სხვადასხვა სახის კონსულტაცია როგორც სატელეფო ასევე ადგილზე მომართვით გაეწია 1460 ფერმერს.

დარგების მიხედვით დამზადდა წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები

დაიბეჭდა 90 000 ცალი 17 დასახელების ბუკლეტი

დაიბეჭდა შემდეგი სახელმძღვანელოები: „კარტოფილის წარმოების ეფექტური ტექნოლოგიები"; „პირუტყვის მოვლა, ჰიგიენა და რძის პირველადი დამუშავება"; „თხილის წარმოების ეფექტური ტექნოლოგიები"

დაიბეჭდა წიგნები: „ტრაქტორის კონსტრუქცია"; „მარწყვის მოყვანა"; რუსულ-ქართული აგროსაინჟინრო ტექნოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონი"

დაიბეჭდა გაზეთი გუთნეულის 6 ნომერი 6 000 ეგზემპლარად

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისა“ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ განხორციელებული ერთობლივი საქმიანობები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე როგორც დანარჩენ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამა “ENPARD AJARA” ფართოდ არის ჩართული რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საქმეში.

2014 წლის 27 მაისს ხელი მოეწერა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და “ENPARD AJARA”–ს წარმომადგენლობას (UNDP) შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ს, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ფერმერთა სწავლება–კონსულტირებას;

ბ) აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;

გ) აგროსერვის ცენტრის მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლებას;

დ)მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურების აღჭურვას, სპეციალისტების ხელფასს;

ე) ნიადაგის კვლევის მიზნით საველე ლაბორატორიის შეძენას, სპეციალისტების ხელფასს;

ვ) ბიზნეს–პროექტების შემუშავებას;

ზ) ფერმერებთან სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას;

თ) დარგის მიხედვით წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების დამზადებას.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გასულ 9 თვეში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაეროს პროგრამით დაფინასების ფარგლებში დაიბეჭდა და გავრცელდა ყოველთვიური გაზეთი ,,გუთნეული“ 6 ნომერი (ყოველთვიური ტირაჟი 1000 ცალი), რაც უსასყიდლოთ დაურიგდათ ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერებს, მოსახლეობას და სხვა სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესებულ პირებს; გუთნეულის დამზადებისა და დაბეჭდვისთვის საერთო ჯამში დაიხარჯა 7026 ლარი;
- დაიბეჭდა 13 დასახელების, 70 000 სარეკლამო–საინფორმაციო ბუკლეტი - საერთო ღირებულებით - 6690 ლარი და 2 დასახელების წიგნი („ტრაქტორებუს კონსტრუქცია - 200 ცალი; მარწყვის მოყვანა - 450 ცალი) სულ 650 ეგზემპლარი, ღირებულებით - 5762 ლარი;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სარგებლობაში არსებულ ციტრუსოვანთა და ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში არაერთხელ მოეწყო აგროტურები და პრესტურები, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტები, კონსულტანტები, მასმედიის წარმოადგენლები, აჭარაში მოქმედი ფერმერები, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები, სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმართველობათა ორგანოების წარმომადგენლები (აგროსერვის ცენტრი უზრუნველყოფდა მონაწილეთა წარმომადგენლობით მომსახურებას და ფერმერთა ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტებიდან);
- გაეროს პროგრამით დაფინასების ფარგლებში აგროსერვის ცენტრმა ფერმერებისთვის გადასაცემად და მეფრინველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიძინა 28 ცალი ინკუბატორი (18 120 ლარი) და წიწილების გამოსაზრდელი სამსართულიანი 16 ცალი გალია (13 920 ლარი).

სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი”





აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს 2015 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციებიდან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის, სასმელი წყლის, ჩამდინარე წყლის, მდინარის წყლის, აუზის წყლის, სუსტალკოჰოლური სასმელების, ზღვის წყლის, სადეზინფექციო საშუალებების, ჩამონაბან-ჩამონარეცხის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მასალისა და ობიექტის მავნებელ-დაავადებებზე შესწავლის მიზნით სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრში“ სულ შემოსული იქნა **15157** ნიმუში.

სსიპ-ლაბორატორიული კვლევით ცენტრსა და სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული იქნა **484** ხელშეკრულება ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაზე მომსახურების გაწევის შესახებ.

ცენტრმა, როგორც მიმწოდებელმა გაიმარჯვა **13** გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში და ელექტრონულ ტენდერში,

საანგარიშო პერიოდში ცენტრის 3-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები **ლიტვის ვეტერინარულ ლაბორატორიაში** ქ. ვილნიუსში. ასევე ცენტრის 5-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები აკრედიტაციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარებში

საანგარიშო პერიოდში სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს მიერ მოხდა აკრედიტაციის სფეროს გაფართოება შემდეგი სახით:

1.უალკოჰოლო, სუსტალკოჰოლიანი და ალკოჰოლიანი სასმელები
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
2. რძე და რძის პროდუქტები, კონსერვები
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
არაცხოველური წარმოშობის ცხიმები
Listeria monocytogenes
3.ჩაი, ყავა, დაფნის ფოთოლი, სანელებლები, მარილი
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
4. ხორცი და მისი ნაწარმი, კონსერვები. ფრინველის კვერცხი
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
ლევომიცეტინი, სპილენძი, თუთია, Proteus
5.ზეთის ნედლეული და ცხიმოვანი პროდუქტები
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
6. თევზი, სარეწის არათევზეული ობიექტები და მათი გადამუშავების პროდუქტები
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
ჰელმინთების კვერცხები, ცისტები, ლარვები, და ცოცხალი მატლები
7. ხილი, ბოსტნეული, კონსერვები
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
8.მარცვალი და მარცვალგადამუშავების პროდუქტები (ფქვილი,ბურღული, საფუარი,სახამებელ
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
9.პური, ფუნთუშეული, ერბოზელილი და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
10.შაქარი,შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმი,თაფლი
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
11.ცხოველის, ფრინველისა და თევზის საკვებად გამოყენებული პროდუქცია
სტრონციუმ 90, ცეზიუმ 137
12.სადეზინფექციო საშუალებები
აქტიური ქლორი
13. საკარანტინო და არასაკარანტინო მასალები: მცენარეები, მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, ტარა
მწერები და ტკიპები, სოკოები, ნემატოდები, სარეველები

გმადლობთ ყურადღებისათვის !

ბათუმი, აკ. კომახიძის .ქ №119

ტელ: (0422) 24 78 41

www.moa.ge